სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო

13 აგვისტო 2024

N 438/ს

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

ზესტაფონის მუნიციპალიტეტში, სოფ. კვალითში შპს „უნიფეიფერის“ ქაღალდის ნარჩენების გადამამუშავებელი (ნარჩენების აღდგენა) საწარმოს მოწყობასა და ექსპლუატაციაზე სკრინინგის გადაწყვეტილების შესახებ

შპს „უნიფეიფერის“ მიერ, გზშ-ის ჩატარების საჭიროების დადგენის მიზნით, სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოში წარმოდგენილია ზესტაფონის მუნიციპალიტეტში, სოფ. კვალითში ქაღალდის ნარჩენების გადამამუშავებელი (ნარჩენების აღდგენა) საწარმოს მოწყობისა და ექსპლუატაციის სკრინინგის განცხადება.

სკრინინგის განცხადების თანახმად, შპს „უნიფეიფერს“ ზესტაფონის მუნიციპალიტეტში, სოფ. კვალითში, ფ/პ ეთერი ხუსკივაძის საკუთრებაში არსებულ 408 $მ^2$ ფართობის მქონე არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე (ს/კ: 32.12.06.832) განთავსებულ შენობა-ნაგებობაში დაგეგმილი აქვს ქაღალდის ნარჩენების გადამამუშავებელი (ნარჩენების აღდგენა) საწარმოს მოწყობა. დაგეგმილი საქმიანობისათვის გამოყოფილი ტერიტორიის ფართობი შეადგენს 270 $მ^2$-ს, რომელსაც შპს „უნიფეიფერი“ ფლობს იჯარის ხელშეკრულების საფუძველზე. საწარმოს განთავსების GPS კოორდინატებია: X-334403, Y-4662023; X-334413, Y-4662025; X-334438, Y-4662038; X-334444, Y-4662028; X-334418, Y-4662017; X-334406, Y-4662014. უახლოესი საცხოვრებელი სახლი საპროექტო შენობა-ნაგებობიდან მდებარეობს სამხრეთ-დასავლეთით, 48 მეტრში, ხოლო, აღმოსავლეთით – 78 მეტრში. საწარმოს ტერიტორიიდან უახლოესი ზედაპირული წყლის ობიექტი, უსახელო ღელე, მიედინება 58 მეტრში.

სკრინინგის განცხადების მიხედვით, საპროექტო საწარმო, მაქსიმალური დატვირთვის შემთხვევაში იმუშავებს წელიწადში 300 დღე, 8 საათიანი სამუშაო რეჟიმით და დღის განმავლობაში გადაამუშავებს 270 კგ მაკულატურას. წლის განმავლობაში დაგეგმილია 81 ტონა ნედლეულის გადამუშავება და 78 ტონა პროდუქციის წარმოება. საწარმოში ქაღალდის გასაშრობად გამოყენებული იქნება ბუნებრივი აირი - 28 800 $მ^3$/წელ. ობიექტზე დასაქმდება 10 ადამიანი.

წარმოდგენილი ინფორმაციის მიხედვით, ქაღალდის ნარჩენების გადამამუშავებელი საწარმო მოეწყობა კაპიტალურ შენობაში, სადაც განთავსდება შემდეგი დანადგარ-მექანიზმები: ჰიდროდამაქუცმაცებელი; სეპარაციის სექცია, რომლის შემადგენლობაში შედის 3 ერთეული რეზერვუარი (თითოეული 4 $მ^3$ მოცულობის), ვიბრაციული საცერი, საფქვავი/ტუმბო; საქვაბე დანადგარი; ქაღალდის დამამზადებელი დანადგარი; ქაღალდის რულონის ამოსახვევი-საჭრელი დაზგა; 2 ერთეული წყლის სამარაგო რეზერვუარი (თითოეული 5 $მ^3$ მოცულობის); 1 $მ^3$ მოცულობის ცხელი წყლის რეზერვუარი და ორსექციიანი სალექარები (ზომებით 2000x1200x1000 მმ).

სკრინინგის განცხადების მიხედვით, საწარმოს ნედლეულით (კოდი: 20 01 01 - ქაღალდი და მუყაო) მომარაგება განხორციელდება სხვადასხვა მომწოდებლისაგან, სატრანსპორტო საშუალებებით. ობიექტზე მიღებული ნედლეული განთავსდება საწარმოს შენობაში გამოყოფილ სივრცეში, სადაც მუშა პერსონალის

მიერ მოხდება გადარჩევა და გამოცალკევდება ტექნოლოგიურად უვარგისი მასალა (მაგ: წებოვანი ლენტი, პოლიეთილენი, თოკები, მეტალის/ხის დეტალები და ა.შ), ხოლო, გამოცალკევებული ნარჩენები განთავსდება სპეციალურ კონტეინერში. როგორც სკრინინგის განცხადებაშია აღნიშნული, საწარმოში გადამუშავების მიზნით არ მიიღება სახიფათო ნივთიერებებით დაბინძურებული ან/და ქიმიური კომპონენტების მქონე ნედლეული. პროცესი წარმოადგენს უდანაკარგო წარმოებას, ყოველგვარი ქიმიური დანამატებისა და რეაგენტების გარეშე, სადაც მხოლოდ წყალთან კონტაქტით ხდება ქაღალდის ნარჩენების დამუშავება და პროდუქციის მიღება. წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად, გადასამუშავებლად ვარგისი (გადარჩეული) ნედლეული, ხელით ჩაიყრება ჰიდროდამაქუცმაცებელში, სადაც წყალთან ერთად მოხდება მაკულატურის დაქუცმაცება და ბოჭკოების განშრევება. ჰიდროდამაქუცმაცებელში მომზადებული თხევადი მასა, ქაღალდის დალბობის მიზნით გადაიტუმბება სეპარაციის სექციის პირველ რეზერვუარში, საიდანაც ქაღალდნარევი მასა, ტუმბოს საშუალებით გადავა ვიბრაციულ საცერზე. აღნიშნულ ვიბრაციულ საცერზე გამოცალკევდება ქაღალდის მსხვილი ან/და გამკვრივებული ფრაგმენტები, ხოლო საცერში გავლილი მასა ჩაედინება მეორე რეზერვუარში. ვიბრაციულ საცერზე დარჩენილი ქაღალდის მსხვილი ნაწილაკები ბრუნდება ჰიდროდამაქუცმაცებელში, ხოლო არასასურველი კომპონენტები ნარჩენების შესაგროვებელ კონტეინერში. მეორე რეზერვუარში დაგროვებული ქაღალდნარევი მასა, გაივლის მეორადი დაქუცმაცების პროცესს, მაღალი წნევის შნეკური ტუმბოს საშუალებით, საიდანაც საბოლოო კონსისტენციის ბლანტი მასა გადაიტუმბება მესამე რეზერვუარში. მესამე რეზერვუარიდან, დოზირებულად მოხდება მასის გადატუმბვა ქაღალდის დამამზადებელ დანადგარზე, სადაც პირველ ეტაპზე მოხდება ქაღალდის და წყლის განცალკევება მბრუნავი ცილინდრის სპეციალურ კაპრონის ბადეზე. ბადიდან გამოსული წყალი შეგროვდება ზუმფში და შემდგომ ორსექციან სალექარებში, სადაც მიმღებ სექციაში დაილექება წყალს გაყოლილი ქაღალდის ფრაგმენტები, ხოლო მეორე სექციაში გადასული გაწმენდილი წყალი დაბრუნდება უკან. სალექარის გაწმენდა განხორციელდება 3-5 დღეში ერთხელ და ქაღალდის ნალექის მასა კვლავ დაბრუნდება წარმოების პროცესში. ქაღალდის დამამზადებელი დანადგარის ბადეზე დარჩენილი ქაღალდი, ეკვრის სპეციალურ ლენტურ მატერიას, რომელიც ვაკუუმ ტუმბოს საშუალებით ქაღალდს ეცლება ნარჩენი წყლის წილი, რომელიც ასევე მიემართება შემკრებ ზუმფში და სალექარებში. აღნიშნულის შემდეგ, ქაღალდის ფენა შედის საშრობ დოლურაში, სადაც 100-120^{0}C-ზე გახურებულ ცილინდრზე მოხდება ქაღალდის დახვევა და გაშრობა. დოლურიდან გამოსული გამშრალი ქაღალდის ფირი, გაგრილდება შემბერი ვენტილატორით და მიეწოდება ამოსახვევ ცილინდრს, რომელზეც მზადდება შესაბამისი სიგანის რულონები. დამზადებული ქაღალდის რულონი, სარეალიზაციო პროდუქციის მისაღებად გადაიხვევა სპეციალურ დანადგარზე, შეიფუთება და დაიჭრება საჭირო ზომებად. აღნიშნულ პროცესში წარმოქმნილი ქაღალდის ნარჩენები შეგროვდება და კვლავ დაბრუნდება ტექნოლოგიურ ციკლში.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად, საპროექტო ობიექტზე წყლის გამოყენება დაგეგმილია საწარმოო და საყოფაცხოვრებო დანიშნულებით. საყოფაცხოვრებო მიზნებით წყლის შემოტანა განხორციელდება პოლიეთილენის ჭურჭლით, ხოლო საწარმოო დანიშნულებით წყლის აღება გათვალისწინებულია საწარმოს მიმდებარედ არსებული უსახელო ღელედან (GPS კოორდინატები: X-334382, Y-4662065). აღნიშნული ღელედან წყლის ამოღების მიზნით, ხევში მოეწყობა ქვიშის დრენირებადი ფილტრის ერთგვარი ბუფერი, რომლის გავლის შემდეგ წყალი შეიკრიბება 1.5 მ^3 მოცულობის მიმღებ კოლექტორში და დამძირავი ელექტრო ტუმბოს (50 მ^3/სთ) მეშვეობით მიეწოდება 10 მ^3 მოცულობის სამარაგო რეზერვუარებს. საწარმოო მიზნებით, ტექნოლოგიურ პროცესში და დანაკარგების შესავსებად წლის განმავლობაში გამოყენებული იქნება 150 მ^3 წყალი, რომელიც ჩართული იქნება ცირკულაციის სისტემაში. შესაბამისად, ობიექტის ექსპლუატაციის ეტაპზე მოსალოდნელია მხოლოდ სამეურნეო-საყოფაცხოვრებო ჩამდინარე წყლების წარმოქმნა, რომელიც შეგროვდება სეპტიკურ რეზერვუარში და პერიოდულად გაიტანება შესაბამისი სამსახურის მიერ.

სკრინინგის განცხადების მიხედვით, საწარმოს ფუნქციონირების პროცესში ადგილი ექნება ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებების წარმოქმნას და ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვევას, კერძოდ, ობიექტზე გაფრქვევის ორგანიზებულ წყაროს წარმოადგენს საქვაბე დანადგარი, რომელიც საწვავად გამოიყენებს ბუნებრივ აირს, რა დროსაც ატმოსფერულ ჰაერში გაიფრქვევა აზოტის დიოქსიდი, ნახშირჟანგი, ნახშირორჟანგი, ხოლო, არაორგანიზებული გაფრქვევის წყაროს, ქაღალდის საჭრელი დანადგარი, რომლის დროსაც მოსალოდნელია მტვრის (შეწონილი ნაწილაკების) წარმოქმნა. დოკუმენტში მოცემულია

საწარმოს ფუნქციონირების პროცესში ატმოსფერული ჰაერის ხარისხზე მოსალოდნელი ზემოქმედების შეფასება, იდენტიფიცირებულია მავნე ნივთიერებათა გამოყოფისა და ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვევის წყაროები და აღნიშნული წყაროებიდან ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვეული მავნე ნივთიერებების რაოდენობრივი და ხარისხობრივი მაჩვენებლები. გაბნევის შედეგების თანახმად, რომელიც განხორციელდა ორივე გაფრქვევის წყაროს ერთდროულად ფუნქციონირებისა და ფონური მახასიათებლების გათვალისწინებით, ობიექტის ექსპლუატაციის პროცესში, მიმდებარე ტერიტორიების ატმოსფერული ჰაერის ხარისხი უახლოესი საცხოვრებელი სახლებთან და ასევე, დანარჩენ საკონტროლო წერტილებთან, არ გადააჭარბებს კანონმდებლობით დადგენილ ზღვრულად დასაშვებ ნორმებს.

სკრინინგის განცხადების შესაბამისად, საწარმოს ექსპლუატაციისას ხმაურისა და ვიბრაციის წარმოქმნისა და გავრცელების ძირითადი წყაროები იქნება ტექნოლოგიურ პროცესში ჩართული დანადგარ-მექანიზმები. დოკუმენტში წარმოდგენილია უარესი სცენარით ჩატარებული ხმაურის გაანგარიშება, რომლის თანახმად, საწარმოში ყველა ხმაურწარმომქმნელი წყაროს ერთდროულად მუშაობის შემთხვევაში ჯამური ბგერის ექვივალენტური დონე, საწარმოს შენობაში იქნება 83.3 დბა, ხოლო უახლოეს საცხოვრებელ სახლთან – 50 დბა. ამასთან გასათვალისწინებელია ის ფაქტი, რომ ხმაურწარმომქმნელი დანადაგრები განთავსდება დახურულ შენობა-ნაგებობაში, რაც მინიმუმ 10-15 დეციბალით შეამცირებს ხმაურის გავრცელების დონეს შენობის გარეთ, ასევე, საწარმო იმუშავებს მხოლოდ დღის საათებში. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საწარმოს ფუნქციონირების ეტაპზე უახლოეს საცხოვრებელ სახლებთან მოსალოდნელი ხმაურის დონე იქნება 40-35 დბა. შესაბამისად, საწარმოს ექსპლუატაციის პროცესში ხმაურის გავრცელებით გამოწვეული მნიშვნელოვანი ზემოქმედება მოსალოდნელი არ არის.

სკრინინგის განცხადების მიხედვით, საწარმოში წარმოიქმნება მხოლოდ საყოფაცხოვრებო და მცირე რაოდენობით სახიფათო ნარჩენები, რომლებიც შეგროვდება სეპარირებულად, შესაბამის კონტეინერებში. შეგროვებული ნარჩენები პერიოდულად გაიტანება/გადაეცემა შესაბამისი კატეგორიის ნარჩენების მართვაზე უფლებამოსილ სუბიექტებს. ხოლო, რაც შეეხება საწარმოო პროცესში წარმოქმნილ ქაღალდის ნარჩენებს, აღნიშნული ნარჩენები შეგროვდება და კვლავ დაბრუნდება ტექნოლოგიურ ციკლში.

სკრინინგის განცხადების შესაბამისად, საპროექტო ტერიტორია არ მდებარეობს არქეოლოგიური და კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების, ასევე, დაცული და ტყით მჭიდროდ დაფარული ტერიტორიების სიახლოვეს, სადაც გაბატონებულია საქართველოს „წითელი ნუსხის“ სახეობები. საქმიანობისთვის განსაზღვრულ ტერიტორიაზე ადრეულ წლებში ფუნქციონირებდა ქვის საამქროს შენობა, რომლის რეკონსტრუქციის შედეგად გამოიყენებოდა სხვადასხვა სახის საჭიროებებისთვის, ძირითადად კომპანიის სასაწყობე-სამეურნეო დანიშნულებით. ქაღალდის გადამუშავების საჭირო ტექნოლოგიური ხაზის ყველა აგრეგატის ფუნქციონირება დაგეგმილია არსებული შენობის შიგნით, რაც თავისთავად არ გამოიწვევს ლანდშაფტის შეცვლას და ზემოქმედებას ბუნებრივ საფარზე.

„გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-7 მუხლის მე-5 ნაწილის შესაბამისად, სკრინინგის განცხადება გამოქვეყნდა გარემოსდაცვით საინფორმაციო პორტალზე და გადაიგზავნა ზესტაფონის მუნიციპალიტეტის მერიის საინფორმაციო დაფაზე განთავსების მიზნით. ადმინისტრაციული წარმოების ეტაპზე, საზოგადოების მხრიდან, აღნიშნულ საქმიანობასთან დაკავშირებით, წერილობითი შენიშვნები და მოსაზრებები სააგენტოში არ ყოფილა წარმოდგენილი.

სკრინინგის განცხადების შესწავლით დგინდება, რომ საქმიანობის სპეციფიკის, წარმადობის (81 ტ/წელ) და მახასიათებლების გათვალისწინებით, საწარმოს ექსპლუატაცია არ იქნება დაკავშირებული გარემოს სხვადასხვა კომპონენტებზე მნიშვნელოვან ზემოქმედებასთან.

ზემოაღნიშნული კრიტერიუმების გათვალისწინებით, „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-7 მუხლის მე-6 ნაწილის და ამავე კოდექსის II დანართის მე-10 პუნქტის 10.3 ქვეპუნქტის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. მიღებულ იქნეს სკრინინგის გადაწყვეტილება, რომ ზესტაფონის მუნიციპალიტეტში, სოფ. კვალითში შპს „უნიფეიფერის“ ქაღალდის ნარჩენების გადამამუშავებელი (ნარჩენების აღდგენა) საწარმოს მოწყობა და ექსპლუატაცია **არ დაექვემდებაროს** გარემოზე ზემოქმედების შეფასებას;
2. შპს „უნიფეიფერი“ ვალდებულია „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-7 მუხლის მე-8 ნაწილის შესაბამისად უზრუნველყოს გარემოსდაცვითი ტექნიკური რეგლამენტებით დადგენილი მოთხოვნებისა და გარემოსდაცვითი ნორმების დაცვა;
3. ბრძანება დაუყოვნებლივ გაეგზავნოს შპს „უნიფეიფერის“ და სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრს;
4. ბრძანება ძალაში შევიდეს შპს „უნიფეიფერის“ მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე;
5. სკრინინგის გადაწყვეტილების გაცემიდან 5 დღის ვადაში გადაწყვეტილება განთავსდეს გარემოსდაცვით საინფორმაციო პორტალზე და ზესტაფონის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ან/და წარმომადგენლობითი ორგანოს საინფორმაციო დაფაზე;
6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი № 64) მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

ვასილ გედევანიშვილი

სააგენტოს უფროსი

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო

https://edocument.ge/mea/public/#/438-21-4-202408131733